

# ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატამდე დარჩა 10 დღე!

ჩემპიონატების ისტორიაზე მოგითხრობთ მასალა მე-4 გვერდზე.

საქართველოს სტუდენტთა თამაშებში ტანმოვარჯიშე ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ვ. ნარსიამ.

სურათზე: ვ. ნარსია დვირზე ვარჯიშისას.

ფოტო გ. გოგნიაშვილისა.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 98 (2818) ● ხუთშაბათი, 20 მაისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

## გიორგი სიჭინავა...

ჩვენმა მოსკოველმა ფოტოკორესპონდენტმა ბ. სვეტლანოვმა გამოგვიგზავნა სურათები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტებს.

სურათზე ქვემოთ ძალიან კარგადაა აღბეჭდილი კომბინაციის დაწყების მომენტი. საბჭოთა გუნდის მარჯვენა ნახევარმცველ გ. სიჭინავას გარღვევაზე გაჰყავს ცენტრალური ფორვარდი ვ. ივანოვი. ყურადღებას იპყრობს სიჭინავას მოძრაობა: ფეხბურთელი დაუძაბავია და სრულ სიზუსტეს იცავს გადაცემისას. საინტერესოა, რომ მატჩზე დამსწრე უცხოელმა ჟურნალისტებმა იგი აღიარეს ამ თამაშის საუკეთესო ფეხბურთელად.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.).



◆ მოსკოვი, 19 მაისი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის განმეორებითი შეხვედრა მოსკოვისა და ბერლინის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ანგარიშია 3:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. ამრიგად, მოსკოველები მესამედ დაეუფლნენ „დიდ კრისტალს“.

◆ ბელსკა-ბიალა. 19 მაისი.




მშვიდობის ველორბოლის X ეტაპი (სვიტა—ბელსკა-ბიალა, 178 კმ) მოიგო გ. ლებედევმა — 4:42.07,0. როგორც პირად, ისე გუნდურ რბოლაში ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები. რამდენიმე საათის დასვენების შემდეგ ველოსიპედისტებმა კურსი აიღეს კრაკოვისკენ. აქ ფინიშთან პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი ი. მელიხოვი.

◆ როსტოვი. 19 მაისი. აქ გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. ადგილობრივმა არმიელებმა დაამარცხეს პოლონეთის ქალაქ ბიტომის გუნდი — 1:0.

## ბოლო ტურის წინ

დასასრულს უახლოვდება სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო ზონალური ასპარეზობა ხელბურთში. თბილისის ზონის III ტურის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა ლიდერების — ჩვენი დედაქალაქის სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ხელბურთელთა მატჩი. გამარჯვება მოიპოვეს პირველებმა (24:20) და ისინი 6 ქულით ტურნირის ცხრილის სათავეში მტკიცედ დამკვიდრდნენ. ამავე ტურში ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდმა დიდი ანგარიშით (32:9) დაამარცხა კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი.

გუშინ, უკანასკნელისწინა ტურში კრასნოდარელებმა წააგეს მატჩი თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სპორტსმენებთან ანგარიშით 27:28. ერევნელებმა კი დაჯაბნეს ნოვოჩერკასკის საინჟინრო-სამელიორაციო ინსტიტუტის ხელბურთელები—23:18.

დღეს გაიმართება უკანასკნელი ტურის მატჩები და ცნობილი გახდება ზონაში გამარჯვებული გუნდის ვინაობა.



სსრ კავშირის პირველობა

## უპირატესობას შენარჩუნება უნდა

გუშინწინ ლვოვსა და ბაქოში დაიწყო წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის I ტური.

ლვოვში, სადაც ჩვენი დედაქალაქის დინამოელები გამოდიან, პირველი დღის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო მათი შეხვედრა მოსკოველ თანაკლუბელებთან. ორი პერიოდის განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. მე-3 პერიოდის დასაწყისშივე თბილისელთა ერთ-ერთი კომბინაცია მეტოქის კარის აღებით დაგვირგვინდა. მოსალოდნელი იყო, რომ ბოლო 5 წუთში თბილისის გუნდი შეინარჩუნებდა უპირატესობას, მაგრამ... თამაშის დამთავრებამდე მან თავის კარში 2 ბურთი გაუშვა და დამარცხდა — 1 : 2.

მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ გუნდმა მოუგო „ტორპედოს“ (მოსკოვი) — 2 : 1, ხოლო ლვოვის „დინამომ“ — ვოლგოგრადის „სპარტაკს“ — 3 : 1.

ბაქოს ჯგუფში დიდი ინტერესი გამოიწვია კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიისა და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ მატჩმა. ანგარიში გახსნეს ბაქოელებმა და მალე მათ მეორე ბურთიც გაიტანეს. უკანასკნელი პერიოდისთვის ბაქოელები კვლავ წინ იყვნენ 2 ბურთის განსხვავებით — 3:1, მაგრამ ბოლო წუთებში მათ საკუთარ კარში 2 ბურთი მიიღეს და მატჩი დამთავრდა ფრედ — 3 : 3. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მინსკის „ბურევესტნიკის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 4 : 2. ლენინგრადის „ბალტიკამ“ დაამარცხა კიევის „დინამო“—2 : 1.

**წყალბურთი**

## გუშინ...

თბილისში, საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის XVI ტურში მაჭავარიანმა მოუგო ვასიუკოვს, გიორგაძემ — ბურაძეს, გაფრინდაშვილმა — მიქაელიანს, ვეტოხინმა — ლომაიას. ყაიმით დამთავრდა ჯინჯიხაშვილ — გურგენიძის, ელიოზიშვილ — ჩიქოვანისა და ხოლმოვ — კიკიანის პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 18 მაისს წინასწარ გათამაშდა დასკვნითი, XVII ტურის გურგენიძე — ხოლმოვის პარტია, რომელიც ქართველი ოსტატის გამარჯვებით დამთავრდა.

15 ტურის შემდეგ წინ არიან: გურგენიძე (12 ქულა. მან დაამთავრა ტურნირი), რ. ჯინჯიხაშვილი (12), ე. ვასიუკოვი და ო. ელიოზიშვილი (10,5-10,5).

# გაუსწორდით მათ!



საქართველოს მოსწავლეთა მორიგი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა მძლეოსნობაში ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართება ივნისში. სტარტზე გამოვლენ უფროსი (1947-48 წ.წ. დაბად.) და საშუალო (1949-50 წ.წ.) ასაკის სპორტსმენები. რაც შეეხება ჩათვლის სისტემას, გუნდებს ქულებს ნისცემენ ფინალურ ექვსეულში გასულნი.

რაიონებსა და ქალაქებში გუნდების დაკომპლექტებისას უკეთესი ორიენტირებისთვის ვაქვეყნებთ გოგონათა და ჭაბუკთა 6-6 საუკეთესოს სიას 1964-65 წლების შედეგების მიხედვით (გამონაკლისია მხოლოდ 110 მ თარჯრბენი, რადგან შარშან ამ სახეობაში შეჯიბრება არ ჩატარებულა). სპორტსმენთა გვარის გასწვრივ აღნიშნულია შედეგი, დაბადების წელი, ქალაქი, ორგანიზაცია, შედეგის ჩვენების დრო და ადგილი (შედეგები ნაჩვენებია ა. წ. 15 მაისამდე).

### გოგონები

რბენა 100 მ — გ. კონონენკო — 12,2 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 12. VI. 64 წ. თბილისი; ვ. ქუთათელაძე — 12,3 (48), თბილისი, „სპარტაკი". 3. X. 64 თბილისი; ლ. შაბანოვა — 12,5 (47), სოხუმი, „დინამო". 27. VII. 64, კრასნოდარი; ე. არტიომენკო — 12,7 (47), ბათუმი, განათლების განყოფილება. 27. VII. 64, კრასნოდარი; ზ. ბოლქვაძე — 12,8 (48), მახარაძე, განათლების განყოფილება. 12. VI. 64, თბილისი; ვ. ნოვიჩიხინა — 13,0 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 29. III. 65, ბაქო; ვ. იახშიანი — 13,0 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 12. VI. 64, თბილისი.

რბენა 200 მ — ვ. ქუთათელაძე — 25,5 თბილისი, „ლოკომოტივი". 24. IV. 65, თბილისი; გ. კონონენკო — 26,3, 30. III. 64, თბილისი; ლ. შაბანოვა — 26,5, 14. VI. 64, თბილისი; ლ. საფრანი — 28,0 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 11. V. 64, თბილისი; ა. ნიკიტინა — 28,1 (49), ბათუმი, განათლების განყოფილება. 14. VI. 64, თბილისი; ვ. ბალაბანი — 28,1 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 9. V. 64, თბილისი.

რბენა 400 მ — ლ. შაბანოვა — 1.00,9, 23. VII. 64, ტალინი; ე. არტიომენკო — 1.04,0, 15. VI. 64, თბილისი, ლ. პაბოკა — 1.04,6 (48), ქუთაისი, განათლების განყოფილება. 6. XI. 64, თბილისი; ს. არმუშოვა — 1.05,0 (48), თბილისი, „დინამო". 18. X, 64, თბილისი; ლ. ქადეიშვილი — 1.05,2 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 15. VI. 64, თბილისი; მ. ესაძე—1.07,0 (47), ქუთაისი, განათლების განყოფილება. 15. VI. 64, თბილისი; ს. პერვიშევა — 1.07,0 (47), სოხუმი, „დინამო". 6. XI. 64, თბილისი.

თარჯრბენი. 80 მ — გ. კონონენკო — 11,6, 14. VI. 64, თბილისი; ლ. შუმილინა — 12,0 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 14. VI. 64, თბილისი; ლ. საფრანი — 12,0, 5. XI. 64, თბილისი; დ. კაპანაძე — 12,3 (47), სამტრედია, განათლების განყოფილება, 5. XI. 64, თბილისი; ე. სოლომენაია — 12,6 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 12. VI. 64, თბილისი; ჯ. ჩუბინიძე — 12,9 (48), ქუთაისი, განათლების განყოფილება. 12. VI. 64, თბილისი.

სიგრძეზე ხტომა — ც. ჩოლიაშვილი — 5,90 (47), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი. 24. IV. 65, თბილისი; გ. კონონენკო — 5,65, 12. VI. 64, თბილისი; დ. კაპანაძე — 5.35, 12. VI. 64, თბილისი; ლ. მანუკიანი—5,33 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 12. VI. 64, თბილისი; ლ. ბალაშოვა—5,13(47), თბილისი, „დინამო". 15. III. 65, თბილისი; ნ. გნიოტოვა — 5,03 (50), თბილისი, განათლების განყოფილება. 30. III. 65, ბაქო.

სიმაღლეზე ხტომა — ჯ. ხოფერია — 150 (48), ბათუმი. განათლების განყოფილება. 13. VI. 64, თბილისი; დ. კაპანაძე — 150, 13. VI. 64, თბილისი; ჯ. ჩუბინიძე — 150, 26. III. 65, თბილისი; ე. სოლომენაია — 145, 11. V. 64, თბილისი; ლ. საფრანი — 145. 17. X. 64, თბილისი. ლ. ტუღულაშვილი — 144 (48), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი. 11. V. 64, თბილისი.

ბადროს ტყორცნა — მ. უჩაძე — 39,64 (47), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი. 4. X. 64, თბილისი; ა. მატუსოვა — 38,64 (47), თბილისი, „დინამო". 8. V. 64, თბილისი; ც. ჯაფარიძე — 37,18 (48), მესტია, განათლების განყოფილება. 4. X. 64, თბილისი; ნ. ხარაზიშვილი — 36,38 (47), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი. 8. V. 64, თბილისი; ა. ნარტოვა—35,93 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 8. V. 64, თბილისი; მ. აბრამიშვილი — 35,40 (48), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი, 15. III. 65, თბილისი.

შუბის ტყორცნა — ს. ჰოლი — 39,67 (47), სოხუმი, „დინამო", 6. XI. 64, თბილისი; ზ. ნანიევა — — 37,58 (47), ცხინვალი, განათლების განყოფილება. 24. III. 64, თბილისი; ლ. ბაკალინა — 32,30 (49), სოხუმი, განათლების განყოფილება. 26. III. 65, თბილისი; ლ. ბლიაძე— 30,94 (47), ქუთაისი, განათლების განყოფილება. 14. VI. 64, თბილისი; ე. ბულულაშვილი — 30,90 (47), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი, 6. X. 64, თბილისი; ნ. ჯაბანაშვილი — 30,84 (48), დუშეთი, განათლების განყოფილება. 6. X. 64, თბილისი.

ბირთვის კვრა — მ. უჩაძე — 12,06, 15. III. 65, თბილისი; ნ. ხარაზიშვილი — 11,88, 14. III. 65, თბილისი; ლ. საფრანი — 11,10, 9. V. 64, თბილისი; ქ. დოლიძე — 11,05 (47), მახარაძე, განათლების განყოფილება. 15. VI. 64, თბილისი; ა. მატუსოვა — 10,68, 9. V. 64, თბილისი; ც. ჯაფარიძე — 9,72, 5. X. 64, თბილისი.

ხუთჭიდი — გ. კონონენკო — 3944, 5-6. XI. 64, თბილისი; ლ. შუმილინა — 3778, 14-15. VI. 64, თბილისი; ლ. ხაფრანი — 3759, 5-6. XI. 64, თბილისი; დ. კაპანაძე — 3679, 14-15. VI. 64, თბილისი; ლ. მანუკიანი — 3536, 14-15. VI. 64, თბილისი; ე. სოლომენაია — 3501, 10-11. V. 64, თბილისი.

### ჭაბუკები

რბენა 100 მ — თ. ჩახვაძე — 11,1 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 25. III. 65, თბილისი; ა. ბარსუკოვი — 11,2 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 25. III. 65, თბილისი; ე. გაბარაევი — 11,2 (48), თბილისი, განათლების განყოფილება. 25.III. 64, თბილისი; კ. ლოლაძე — 11,2 (47), თბილისი, განათლების განყოფილება. 25. III. 64, თბილისი; ლ. ჯლარკავა — 11,3 (48), გლდანი, მე-2 სკოლა-ინტერნატი, 25. III. 65, თბილისი; ე. კონდრატიევი — 11,4 (49), თბილისი, განათლების განყოფილება, 25. III. 65, თბილისი.

(დასასრული იქნება)



## ახალი რეკორდი

ქუთაისში ამას წინათ ჩატარდა განათლების განყოფილების პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მაღალი შედეგი აჩვენა მე-16 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ჯულიეტა ჩუბინიძემ (მწვრთნელი დ. ეფრემაშვილი). სიმაღლეზე ხტომაში მან დაძლია 157 სმ და გააუმჯობესა მოსწავლეთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც სპორტის ოსტატ ლ. პატარიძეს (თბილისი) ეკუთვნოდა.

• • •

სურათზე: მწვრთნელი დ. ეფრემაშვილი რეკორდის დამყარებას ულოცავს ჯულიეტას.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# გადახნული მინდვრები... ფეხბურთისა. ბავშვებს — ბურთი და მოედანი!

## სამწუხარო ანალოგიები

ბერძნული სიტყვა „ანალოგოს" წარმოადგენს რაიმესთან შესაბამისობას, მსგავსებას და იძლევა ანალოგიის საფუძველს. თვით ანალოგია კი წარმოადგენს მსგავსებას საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის და რადგან ასეა, მოდით ჩვენს რედაქციაში შემოსული ანალოგიური შინაარსის წერილებს ერთად მოვუყაროთ თავი.

აი, პირველი მათგანი, რომელიც **ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჰყონაგვრის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის** კალამს ეკუთვნის. თურმე ნუ იტყვით, რაიონის ამ მოწინავე და დოვლათით სავსე კოლმეურნეობას არ გააჩნია არც ფიზკულტურული მოედანი და არც სპორტინვენტარი. უფრო მეტიც, რაც ჰქონდათ, ისიც მოუსპიათ: კოლმეურნეობის მესვეურთა ბრძანებით აქ არსებული სტადიონი შარშან გადაუხნავთ სიმინდის დასათესად. ყველამ კარგად იცის, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდს ოდითგანვე ფართო „სარბიელი" ჰქონდა დათმობილი, მაგრამ მას არასოდეს არ უცდია არც ფეხბურთისა და არც ლელოს თამაში... სხვა ადგილი მაინც გამოეყოთ ახალგაზრდებისათვის! მათ ხომ სიმინდის მოყვანაც კარგად იციან და სხვა უბანზე შრომაც?! ბოლოს და ბოლოს ახალ სტადიონს თვითონვე მოაწყობდნენ, მაგრამ სოფლის მესვეურნი თავს არ იწუხებენ და ახალგაზრდები ახლა ფეხბურთს საკოლმეურნეო კანტორის წინ, მოასფალტებულ ადგილზე თამაშობენ. თამაშობენ იქ, სადაც ხშირად ჩაიქროლებს ხოლმე ავტომანქანა. ამის შემხედვარეს სრულიად არ გაუკვირდება, რომ ერთ „მშვენიერ" დღეს ფეხბურთელის მიერ გატანილი გოლის მაგიერ მან მანქანით გატანილი ჰყონაგვრელი ფეხბურთელი იხილოს...

მოასფალტებულ ადგილებზე სხვაგანაც თამაშობენ. ლანჩხუთის მეზობელი რაიონის ცენტრში — სამტრედიაში ქუჩაზე, რომელიც ჰყონაგვრის კოლმეურნეობასავით რუსთველის სახელს ატარებს, არის ერთი სახლი, № 41. ამ **ეზოს ბავშვებსაც** იტაცებს სპორტი, მაგრამ საამისო ბაზა არა აქვთ, თუმცა ბაზის მოსაწყობი ადგილი სახლის წინ მოასფალტებულ საკმაოდ დიდ ფართობზეა გადაჭიმული. ამ მოუწყობელ ადგილზე ბავშვები მანამდე თამაშობდნენ, სანამ მათ აქ მობინადრე ბიძიები და ბიცოლები არ შეაწუხეს. ბიძიებმა და ბიცოლებმაც გამოსავალი ჰპოვეს: ფანჯრის მინების დამტვრევის შიშითა და შინაური ფრინველების უსაფრთხოების დასაცავად ეზოში თამაში აკრძალეს (!). ამ სახლის მობინადრეებსა და მათს კომენდანტს ა. გვეშიძეს რომ სცოდნოდათ, თუ როგორ მოაწყეს თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა ქალაქების სახლებში ბავშვებისთვის ფიზკულტურული მოედნები, სხვა გამოსავალს ამჯობინებდნენ.

მივყვეთ ანალოგიებს. ამჯერად **ვეწვიოთ დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვარს.** ამ სოფელში 600-მდე ფიზკულტურელი კოლმეურნეა და მათს გაკაჟებაზე მხოლოდ ერთი კაცი ზრუნავს. ესაა საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი კ. ხერკელაძე. იგი მართლაც ბევრს ეხმარება მათ, მაგრამ ერთი კაცი, მოგეხსენებათ, ასად ვერ გაიპრება. ფიზკოლექტივს რომ საქმის მცოდნე თავკაცი ჰყავდეს, ცხადია, კოლმეურნე-ფიზკულტურელთა მიღწევები ხელშესახები იქნებოდა. ხომ ცხადია, რომ პირველ რიგში კოლმეურნეობის მესვეურებმა უნდა გამოიჩინონ ზრუნვა ადგილობრივი სპორტსმენების მიმართ! აქ არსებული სტადიონი კლდოვანი ნახევარკუნძულის მსგავს ტერიტორიაზეა გაშენებული და დარტყმული ბურთი ხშირად ცხრა მთას იქით იკარგება. კოლმეურნეობის გამგეობას მეტი გულისხმიერება რომ გამოეჩინა და სტადიონის შემოღობვისთვის ცოტაოდენი მასალა გამოეყო, ახალგაზრდები უსასყიდლოდ შრომას არ დაზარდებოდნენ...

ახლა ბათუმის 24-ე რუსული საშუალო სკოლის შენობას შევხედოთ, რომელიც აქ მოტანილ სურათზეა აღბეჭდილი. როგორც ხედავთ, ეს ახალი შენობა თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს. მაგრამ მისი ფასადის წინ, მესერს იქით, ალბათ, ღორებსაც ხედავთ. სკოლა და ღორები? დიახ, ასეა. ეს ეზო-საღორე ბათუმის ერთ-ერთ ორგანიზაციას ეკუთვნის და ამ ტერიტორიის სკოლისთვის გადაცემა ვერაფრით ვერ მოხერხდა. და ეს იმ დროს, როცა სკოლას არ გააჩნია ეზო და სპორტული მოედნები. იქნებ ქალაქის მესვეურებმა გამონახონ გამოსავალი?..

ესეც ერთი სამწუხარო ანალოგიაა, რომლის შესახებ კორესპონდენცია „ლელოს" რედაქციას გამოუგზავნა აღნიშნული სკოლის



ფიზაღზრდის მასწავლებელმა ტ. სერგიაშვილმა.

და კიდევ ერთიც. რედაქციაში შემოვიდა **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტთა** წერილი. ისინი იწერებიან, რომ რაიონის ხელმძღვანელობა აპირებს მათი სპორტდარბაზის სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემას, დარბაზისა, რომელიც სტუდენტებმა საკუთარი ძალებით მოაწყეს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. ჩვენ მაინც გვსურს დავიჯეროთ, რომ სტუდენტებს მეტი პატივისცემით მოეპყრობიან და, პირიქით, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ გაშლაშიც დაეხმარებიან.

## მეგობართა შეხვედრა

### უძლიერესი გამოავლინა მეორე დღემ

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ლენინაკანის „ამხატანკისა" და ბათუმის „განთიადის" სპორტსმენებს. ისინი ყოველწლიურად მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს კალათბურთსა და ხელბურთში. მათ ამჯერადაც არ უღალატეს ამ ტრადიციას: აჭარის დედაქალაქში ორ დღეს სტუმრობდნენ ლენინაკანის „ამხატანკის" წარმომადგენლები.

კალათბურთის მოედანზე გაიმართა დაძაბული ორთაბრძოლა. შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 60:51. სამაგიეროდ, ხელბურთელთა ასპარეზობაში ინიციატივა თავიდანვე მასპინძლებს ეპყრათ და მატჩიც საბოლოოდ მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 26:22.

მეორე დღეს მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც კალათბურთელთა (58:54), ისე ხელბურთელთა (36:24) ასპარეზობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

„ლელო"

## „ასეთი მუშაობა საქმეს აფერხებს"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა. წ. 3 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისში მძლეოსნობის განვითარების ხელშემშლელ პირობებზე საერთოდ, და „განთიადის", „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკისა" და სხვა სპორტსაზოგადოებების საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე.

როგორც „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოდან გვწერენ, ფაქტები, რომლებიც ამ საზოგადოებას შეეხება, დადასტურდა. რესპუბლიკურმა საბჭომ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მძლეოსნობის შემდგომი განვითარებისთვის გაატარა გადამჭრელი ღონისძიება: ფიზკულტურულ კოლექტივებს მიამაგრა მძლეოსნობის სპეციალისტები, დააზუსტა მათი სამუშაო გეგმა და სხვ.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოდან გვატყობინებენ, რომ ბევრ საქალაქო და რაიონულ საბჭოსთან (თბილისი, გორი, ქუთაისი, ბორჯომი და სხვ.) შეიქმნა მძლეოსნობის 15 ჯგუფი, სადაც სპორტის ამ სახეობაში მეცადინეობას ატარებენ გამოცდილი მწვრთნელები. განზრახულია რეგულარულად მოეწყოს ცენტრალური საბჭოს პირველობანი და ა. შ.



შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე სრულყოფს ტექნიკას თბილისელი მოცურავე გოგონა ლ. ქარქუსაშვილი. ამას წინათ გამართულ მოსწავლეთა საქალაქო ასპარეზობაში ბრასით მან საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

სურათზე: ლ. ქარქუსაშვილი ცურვის დროს.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

## სსრ კავშირის პირველობა

# მორიგი ტურის წინ

დღეს მორიგი ტურის მატჩებია სსრ კავშირის პირველობაზე რსფსრ-ს „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის, სადაც, როგორც ცნობილია, გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივებიც.

საინტერესოა, რა მაჩვენებლებით მოვიდნენ მე-5 ტურისთვის საქართველოს გუნდები? ზონას ლიდერობენ სოხუმელი დინამოელები, რომლებმაც მოიგეს ყველა 4 შეხვედრა და 8 ქულა აქვთ (ბურთების სხვაობა 9—3). ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ბათუმის „დინამო" და ფოთის „კოლხიდა". ეს თითო ქულა ბათუმელებმაც და ფოთელებმაც დაკარგეს ბოლო ტურში („დინამოს" ბურთების სხვაობაა 6-1, „კოლხიდისა" — 5—1).

კარგი მაჩვენებლები აქვს ზუგდიდის „ენგურს". „ბ" კლასის დებიუტანტმა 4 შეხვედრიდან 3 ფრედ დაამთავრა და 1 მოიგო; ბურთების სხვაობა 5—2.

3 თამაშის შემდეგ 3 ქულა აქვს გურჯაანის „ალაზანს" (ბურთების სხვაობა 4—2). რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელებმა აგრეთვე 3 მატჩი ჩაატარეს, რომელთაგან ერთი წააგეს და 2 ფრედ დაამთავრეს. მათ ბურთების უარყოფითი ბალანსი აქვთ (1—3).

უიღბლო კალენდარი შეხვდა ტყიბულის „მეშახტეს", რომელმაც პირველი 4 ტურის მატჩები მეტოქეთა მინდვრებზე ჩაატარა. ახალი ბედებმა 1 ქულის აღება შეძლეს მხოლოდ ბაქოში, მედლობრივ „დინამოსთან". ტყიბულელთა ბურთების სხვაობაა 1—6.

დღევანდელი მატჩების კალენდარი ასეთია: „უროჟაი" (მაიკოპი) — „მეტალურგი" (რუსთავი), „შრომითი რეზერვები" (კისლოვოდსკი) — „ალაზანი" (გურჯაანი), „ლერნაგორცი" (კაფანი) — „დინამო" (სოხუმი), „შირაკი" (ლენინაკანი) — „კოლხიდა" (ფოთი), „დინამო" (კიროვაბადი) — „ენგური" (ზუგდიდი), „მეშახტე" (ტყიბული) — „დინამო" (ბათუმი).

„ბ" კლასი

# ს ლ ა ვ ა მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი...



საუცხოოდ ჩაატარა მატჩი საბჭოთა გუნდის მარჯვენა გარემარბმა ს. მეტრეველმაც, რომელიც ყველაზე სახიფათო და აგრესიული იყო თავდასხმაშიც. სურათზე ნაჩვენებია მეტრეველის ერთ-ერთი ბრძოლის მომენტი მოწინააღმდეგესთან. ესაა ავსტრიელთა კაპიტანი კ. კოლერი. იგი „წამოეგო" მეტრეველის მორიგ ფინტზე და ახლა გამოთიშულია ბრძოლას. თავდამსხმელს მოქმედების სრული თავისუფლება აქვს.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში თბილისის „დინამოდან" აგრეთვე გამოდიოდა მარცხენა გარემარბი მ. მესხი. მისი თამაშის შესაფასებლად მოვიყვანთ ადგილს სპორტის ოსტატ ნ. გლებოვის რეცენზიიდან, რომელიც „სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა: „...ლოგოფეტს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა ყოფილიყო ჩვენი შეტევების მთავარი ორგანიზატორი და დამამთავრებელიც კი. მან არა თუ არ გამოიყენა ეს შესაძლებლობანი, არამედ ფაქტიურად მთლიანად გამოთიშა თამაშიდან მესხი. ამაში მას „დაეხმარნენ" კაზაკოვი და დანილოვი".



მეორე ჯგუფში

ბროზნო, 19 მაისი. აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „თერგი" და თბილისის „ლოკომოტივი".

მატჩი დამთავრდა „თერგის" გამარჯვებით — 2:1.

### 4 ქალაქში

საინტერესო მატჩების მოწმენი გახდებიან იაროსლავლის, როსტოვის, ვოლგოგრადისა და კიევის ფეხბურთის მოყვარულნი. რსფსრ-ს ნაკრები ამ ქალაქების სტადიონებზე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში შეხვდება გდრ-ის ნაკრებს, საფრანგეთის „სტად ფრანსეს", ბულგარეთის „ბეროეს", ბრაზილიის „ვასკო და გამას" და იაპონიის ნაკრებს.

„ა" კლასი

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

დუბლშემადგენლობანი

მდგომარეობა 20 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 5 | 4 | 0 | 1 | 7—2 | 8 |
| „დინამო" (მინსკი) | 5 | 2 | 3 | 0 | 2—0 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 5 | 3 | 1 | 1 | 5—3 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 2 | 2 | 1 | 8—5 | 6 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—1 | 5 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—3 | 5 |
| ცსკა | 5 | 1 | 2 | 2 | 4—5 | 4 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—4 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—6 | 4 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 5 | 2 | 0 | 3 | 4—6 | 4 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—0 | 3 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—4 | 3 |
| სკა (ოდესა) | 4 | 0 | 3 | 1 | 2—3 | 3 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 4 | 1 | 1 | 2 | 2—5 | 3 |
| სკა (როსტოვი) | 5 | 1 | 1 | 3 | 6—9 | 3 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 5 | 1 | 1 | 3 | 3—6 | 3 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 5 | 0 | 2 | 3 | 3—6 | 2 |

## საქართველოს პირველობა

განვლილი კვირის მანძილზე ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე. აღსანიშნავია შემდეგი საყურადღებო ფაქტი: 10 შეხვედრიდან 5 დამთავრდა მინიმალური ანგარიშით — 1:0, ერთ მატჩში ფიქსირებულ იქნა ფრე ნულიანი ანგარიშით, 3 მატჩში ნეტოქეებმა გაიტანეს თითო გოლი და მხოლოდ ერთი თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1. ბურთების ასეთი მცირე „მოსავალი" ნათლად მეტყველებს თავდამსხმელთა დაბალ შედეგიანობაზე და იმ ფაქტზე, რომ ჩვენში შეიმჩნევა დაცვითი ხაზების გაძლიერების ტენდენციები.

● **„მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1 : 0. მსაჯი დ. შკურკოვი (თბილისი).**

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში დაცვას მოუნდნენ, მათ სატურნირო ცხრილში ჩაიწერეს მეტად საჭირო გამარჯვება. ჭავჭანიძემ კარგად გამოიყენა მეტოქის დაცვის შეცდომა და გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

● **„თოლია" (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) 1 : 1. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).**

● **ხკა (თბილისი) — „ცისკარი" (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

● **„სამეგრელო" (ზუგდიდი) — „წინსვლა" (წულუკიძე) 1 : 0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).**

წულუკიძელებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. მასპინძლები კარგად იცავდნენ კარს, ხოლო 29-ე წუთზე მათ ხეირიანად გამოიყენეს „წინსვლის" დაცვისა და მეკარის შეუთანხმებლობა და გაიტანეს ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

● **„მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1 : 0. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).**

● **„დილა" (გორი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1 : 0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

გორელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ მატჩისადმი და თამაში მართლაც დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. „დილის" თავდამსხმელები ხშირად იცვლიდნენ ადგილებს და ერთ-ერთი მათი კომბინაცია გოლითაც დამთავრდა. „მესხეთს" შეეძლო თავის ხსნა მეორე ტაიმში, თუნდაც მაშინ, როცა გორელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. ეს შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული და ახალციხელებმა დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

● **„მერცხალი" (მახარაძე) — „განთიადი" (ბორჯომი) 1 : 1. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).**

● **„გურია" (ლანჩხუთი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1 : 0. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).**

სახიფათო მომენტები საკმაოდ იქმნებოდა ორივე გუნდის კართან და, მიუხედავად ამისა, ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარში ლანჩხუთელებმა შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება და ქორდანიამ ძლიერი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

● **„თოლია" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1 : 1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

მატჩი დასაწყისიდანვე ძალზე დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. თბილისელთა ტექნიკურად უფრო ძლიერ თამაშს მასპინძლებმა დაუპირისპირეს კოლექტიური, შეთანხმებული მოქმედება. კარგა ხნის ორმხრივი იერიშების შემდეგ „მესხეთის" მარჯვენა გარემარბმა კირაკოზოვმა ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა ბურთი „თოლიას" კარში.

შესვენების შემდეგ ახალციხელები ნაადრევად გადავიდნენ ღრმა დაცვაზე და მეტოქეს ინიციატივის ხელში აღების საშუალება მისცეს. თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ და ერთ-ერთი იერიში გოლითაც დამთავრდა.

● **„მაღაროელი" (ჭიათურა) — „განთიადი" (ბორჯომი) 1 : 2. მსაჯი ზ. ლოხაბერიძე (ქუთაისი).**

### მეორე ქვეჯგუფი

გაიმართა მორიგი მატჩები II ქვეჯგუფის გუნდებს შორისაც.

I ზონა: „ისანი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0 : 0, „ნადიკვარი" (თელავი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3 : 1, „კოლმეურნე" (მარნეული) — „სამცხე" (აწყური) 0:0, „კახეთი" (ველისციხე) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0 : 4, „ირისტონი" (ცხინვალი) — „ქართლი" (გორი) 3 : 1.

II ზონა: „დინამო" (სოხუმი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 0 : 3, „ჰიხურა" (საჩხერე) — „ცისკარა" (ბათუმი) 1:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — „აერო" (გალი) 1:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „კოლხიდა" (ხობი) 2:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „მექანიზატორი" (ფოთი) 0 : 3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „თოლია" თბილისი | 8 | 3 | 5 | 0 | 12—5 | 11 |
| „მესხეთი" ახალციხე | 7 | 4 | 2 | 1 | 9—5 | 10 |
| „სამეგრელო" ზუგდიდი | 8 | 3 | 4 | 1 | 7—6 | 10 |
| „გურია" ლანჩხუთი | 7 | 4 | 1 | 2 | 10—6 | 9 |
| „წინსვლა" წულუკიძე | 8 | 4 | 1 | 3 | 11—11 | 9 |
| „შუქურა" ქობულეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11—8 | 8 |
| „მეშახტე" ტყვარჩელი | 6 | 4 | 0 | 2 | 5—5 | 8 |
| „სინათლე" თბილისი | 7 | 1 | 5 | 1 | 9—9 | 7 |
| „განთიადი" ბორჯომი | 7 | 2 | 3 | 2 | 7—8 | 7 |
| „მაღაროელი" ჭიათურა | 8 | 3 | 1 | 4 | 9—11 | 7 |
| „დილა" გორი | 6 | 3 | 0 | 3 | 9—8 | 6 |
| „ცისკარი" ცხაკაია | 7 | 1 | 4 | 2 | 8—9 | 6 |
| ხკა-თბილისი | 7 | 0 | 5 | 2 | 8—9 | 5 |
| „მერცხალი" მახარაძე | 7 | 1 | 3 | 3 | 7—9 | 5 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 8 | 0 | 5 | 3 | 7—9 | 5 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 8 | 1 | 3 | 4 | 8—14 | 5 |
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 7 | 1 | 2 | 4 | 5—8 | 4 |

## თ ა ს ზ ე

გრძელდება მეთექვსმეტედფინალური მატჩები საბჭოთა კავშირის თასზე. გუშინ გაიმართა გათამაშების ამ ეტაპის 3 მატჩი.

**ჩერნიგოვში** თამაშობდნენ ადგილობრივი „დესნა" და ბაქოს „ნეფტიანიკი". გაიმარჯვა „დესნამ" — 1:0.

**ფერგანაში** ადგილობრივმა „ნეფტიანიკმა" მიიღო მოსკოვის „დინამო". წარმატება „ა" კლასის „ბინადარს" ხვდა წილად — 2:0.

მოსკოვის ტორპედოელებს შეხვედრა ჰქონდათ **ყარაგანდაში**, ადგილობრივ „შახტიორთან". მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 1:0.

## მოზარდთა ტურნირი

გრძელდება „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირი.

I ქ ვ ე ჯ გ უ ფ შ ი შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „შრომითი რეზერვები" (თბილისი) 2:3, „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 4:0.

II ქ ვ ე ჯ გ უ ფ შ ი ფრედ ითამაშეს სოხუმისა და ბათუმის დინამოელებმა — 1:1. გაგრის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა დაამარცხა ფოთის „კოლხიდა" — 6:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მაისისთვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეხბურთის სკოლა (თბილისი) | 5 | 4 | 0 | 1 | 12—4 | 8 |
| „შრომითი რეზერვები" (თბილისი) | 5 | 3 | 1 | 1 | 8—8 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 11—4 | 5 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 3 | 2 | 0 | 1 | 5—2 | 4 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 4 | 0 | 1 | 3 | 3—10 | 1 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 5 | 0 | 1 | 4 | 3—16 | 1 |

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეხბურთის სკოლა (გაგრა) | 5 | 4 | 1 | 0 | 13—7 | 9 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 4 | 4 | 0 | 0 | 12—3 | 8 |
| „დინამო" (სოხუმი) | 5 | 1 | 2 | 2 | 2—4 | 4 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 6 | 2 | 0 | 4 | 7—12 | 4 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 4 | 1 | 1 | 2 | 1—[illegible] | 3 |
| „დინამო" (ბათუმი) | 5 | 1 | 1 | 3 | 8—9 | 3 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 5 | 1 | 1 | 3 | 6—13 | 3 |

საბჭოთა ცხენოსნები კონკურში ევროპის ჩემპიონატის წინ

# მალე სტარტია

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ საბჭოთა ცხენოსნები ჯერ არ გასულან „საბრძოლო ბილიკზე". სეზონი მათთვის მხოლოდ იწყება. წინ „შინაური" შეჯიბრებანი და საერთაშორისო სტარტებია.

ცხენოსნური სპორტის ყოველ სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში, გაწვრთნასა და სამჭიდში — ევროპის ჩემპიონატები ცალ-ცალკე ტარდება, ხოლო დაბრკოლებათა გადალახვაში — კონკურში, კონტინენტის პირველობას ქალებიც ეცილებიან ერთმანეთს.

ევროპის ჩემპიონატი კონკურში ვაჟთათვის მეშვიდედ გაიმართება. იგი შედგება აახენში (გფრ), 3-11 ივლისს. როგორც ყოველთვის, სპორტსმენები გაითამაშებენ პირად პრიზებს.

უძლიერესი ცხენოსნები აახენში იბრძოლებენ გუნდური პრიზისათვისაც — საერთაშორისო ტურნირის „ეროვნებათა პრიზისათვის". ამ ტურნირს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი აახენში 29-ედ იმართება და ჩვეულებისამებრ კონკურის უძლიერეს ოსტატებს იკრებს. საბჭოთა სპორტსმენები ორივე შეჯიბრებისთვის ემზადებიან, თუმცა სსრ კავშირის ნაკრების შანსები კონკურში არც თუ მაღალია. ცხენოსნური სპორტის ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს თვალსაჩინო წარმატებები არ მოუპოვებიათ.

ტოკიოს თამაშებში საბჭოთა გუნდი კონკურში იმედოვნებდა ექვსეულში მოხვედრას, მაგრამ XI ადგილზე აღმოჩნდა. გუნდის წევრები წარუმატებლად გამოვიდნენ პირად შეჯიბრებაშიც.

თავისი ელიერი შემადგენლობით აახენის მომავალი ტურნირი მცირედით ჩამორჩება ტოკიოს თამაშებს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ოსტატები ოლიმპიური ჩემპიონი ფრანგი დ'ორიოლია, იტალიელები მონჩინელი და ძმები დინცეოები, გფრ-ის მხედარი შრიდე, ინგლისელი რობსონი. ამასთან, ევროპის ჩემპიონატი აახენში ღია ასპარეზობად გაიმართება. აქ მოელიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის მხედრების მონაწილეობას. როგორც ცნობილია, ბრაზილიელმა პესოამ ერთხელ უკვე წაართვა ევროპელებს თავიანთი კონტინენტის ჩემპიონის წოდება.

„ეროვნებათა პრიზის" შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდი უკეთ გამოსვლას ფიქრობს, ვიდრე ტოკიოში. იგი აახენში თითქმის მთლიანად განახლებული შემადგენლობით ჩავა. ხუთი ოლიმპიელიდან მხოლოდ ერთი დარჩა: ცხენსაშენ ქარხანა „ვოსხოდის" სპორტსმენი ალექსანდრე პურტოვი. დანარჩენები არიან: ვიაჩესლავ კარტავსკი და ოლეგ ოვოდოვი მოსკოვის „უროჟაიდან" და მათი თანამოქალაქენი არმიელი ერნსტ შაბაილო და ბურევესტნიკელი იური სოსკოვი. აახენის წინ გენერალურ რეპეტიციას საბჭოთა ცხენოსნები გამართავენ ივნისის შუა რიცხვებში, პოლონურ ქალაქ ოლშინში. აქ ერთი კვირის მანძილზე გაიმართება კონკურში საერთაშორისო შეჯიბრება. ოლშინიდან სსრ კავშირის ნაკრები გფრ-ში გაემართება.

საბჭოთა მწვრთნელები ახლა გაცხოველებით ამზადებენ „იმედის" გუნდსაც—ჭაბუკ მხედრებს (18 წლამდე), რომლებსაც შესაძლოა სსრ კავშირის სპორტული ღირსების დაცვა მოუხდეთ მეხიკოში. აგვისტოში იტალიის [illegible]-ში გაიმართება ევროპის [illegible] ჩემპიონატი — [illegible] ჭაბუკთათვის. საბჭოთა გუნდისთვის იგი პირველი იქნება.

ჭაბუკთა გუნდი შარშანდელი საკავშირო შეჯიბრებების შედეგების მიხედვითაა შერჩეული. მასში ჩარიცხულ მხედართა სახელები ჯერ არაფრისმთქმელია. ესენი არიან მოსკოვის, ლენინგრადისა და ბელორუსიის წარმომადგენლები.

სანამ ჭაბუკი ცხენოსნები იტალიაში გაემგზავრებიან, ისინი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო შეჯიბრებებში ორჯონიკიძის მახლობლად, ხოლო ივლისის ბოლოს იასპარეზებენ სსრ კავშირის პირველობაში მოზრდილთა შორის.

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატები კონკურში დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს. მათში საბჭოთა ჭაბუკ სპორტსმენების მონაწილეობა უდავოდ სასარგებლო იქნება.

ვ. პუგაჩოვი.

# ქენევიდან თბილისამდე

ნახევარფინალური ოთხეული შექმნეს ქვეჯგუფებიდან I-II ადგილებზე გამოსულმა გუნდებმა, რომლებიც აქაც წრიული სისტემით განაგრძობდნენ ასპარეზობას.

პირველ ნახევარფინალურ ოთხეულში შევიდნენ: ჩეხოსლოვაკია, ბელგია, საფრანგეთი, უნგრეთი, მეორეში — სსრ კავშირი, ეგვიპტე, ბულგარეთი, პოლონეთი. ჩვენმა გუნდმა მოუგო ბულგარელებს (55:24), პოლონელებს (36:18) და ნახევარფინალის გადამწყვეტ მატჩში ძლია ეგვიპტელებს — 46:32. I ქვეჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა წინა ჩემპიონატის პირველი პრიზიორი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

ამრიგად მოხდა ისე, რომ ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ჩემპიონი და ახალბედა. მაგრამ ახალბედა არა მარტო ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა, არამედ პირველივე წუთებიდან სერიოზული პრეტენზიები წამოუყენა ოქროს მედლებზე. პირველი ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს დიდი სხვაობით — 33:14 (!). ჩვენმა გუნდმა შესვენების შემდეგაც შეინარჩუნა ეს უპირატესობა. მატჩის შედეგმა (56:37) ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ასეთი მწარე დამარცხება კონტინენტის ჩემპიონატზე არც ერთ ფინალისტს არ განუცდია.

საბჭოთა გუნდში ამ გადამწყვეტ მატჩში გამოდიოდნენ მისი საუკეთესო მოთამაშეები: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ე. ალექსეევი, ი. ლისოვი და ა. კონევი. კონევის გარდა ოთხივე მოთამაშემ შეხვედრის მთელი 40 წუთი გაატარა მოედანზე, ხოლო კონევი 29-ე წუთზე ი. უშაკოვმა შეცვალა. ამ შეხვედრაში ყველაზე უფრო შედეგიანი მოთამაშე იყო ო. ქორქია (25 ქულა). ალექსეევმა გუნდს 11 ქულა შესძინა, ლისოვმა — 9, ჯორჯიკიამ — 7, კონევმა — 4.

ზემოაღნიშნულ მოთამაშეთა გარდა ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. კოლპაკოვი, ს. ტარასოვი, ა. მოისეევი, ს. ბუტაუტასი, ი. კულამი, კ. პეტკიავიჩუსი, ა. კულაკაუსკასი, ი. ლაგუნავიჩუსი.

III ადგილი ჩემპიონატში დაისაკუთრა ეგვიპტის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ: ბელგია, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, იტალია, რუმინეთი, ჰოლანდია, ავსტრია, იუგოსლავია, ალბანეთი.

### კაირო, 1949 წელი

ეს ჩემპიონატი ყველაზე უფრო „ღარიბი" აღმოჩნდა — თავი მოიყარა სულ 7 ქვეყნის ნაკრებმა. სხვადასხვა მიზეზით მიწვევაზე უარი თქვეს ან გამგზავრება ვერ შეძლეს: მანამდე ევროპის ყველა ჩემპიონატის უცვლელმა მონაწილეებმა — იტალიის კალათბურთელებმა, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიელებმა, უნგრელებმა, იუგოსლავიელებმა, პოლონელებმა, ესპანელებმა, შვეიცარიელებმა და სხვ. მონაწილეთა შორის არ იყო ევროპის ახალი ჩემპიონიც — სსრ კავშირის ნაკრები.

კაიროს ჩემპიონატში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ასპარეზობის მასპინძლები — ეგვიპტელი კალათბურთელები, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგეს ფრანგებს. ამ უკანასკნელთ წილად ხვდათ ვერცხლის მედლები, ხოლო საბერძნეთის საკმაოდ საშუალო გუნდს — ბრინჯაოსი (მარტო ეს ფაქტიც კარგად მეტყველებს კაიროს ტურნირის დონეზე).

შემდგომ ადგილებზე გავიდნენ: თურქეთი, ჰოლანდია, სირია და ლიბანი.

### პარიზი, 1951 წელი

საფრანგეთის დედაქალაქში გუნდების სარეკორდო რიცხვი (17) შეიკრიბა. ისინი დაიყვნენ 4 ქვეჯგუფში, რომელთაგან ნახევარფინალში გასვლის უფლებას ინარჩუნებდა ორ-ორი უძლიერესი. სსრ კავშირის ნაკრებმა ერთობ დამაჯერებლად ჩაატარა შეხვედრები ქვეჯგუფში, იოლად გაუსწორდა თურქეთის (58:34), ფინეთის (74:36), ავსტრიის (71:34) და დანიის (109:13) კალათბურთელებს. არანაკლებ დამაჯერებელი იყო ჩვენი გუნდის გამარჯვებანი ნახევარფინალურ ჯგუფში, სადაც შეხვედრები კვლავ წრიული სისტემით ტარდებოდა: 3 მატჩი და 3 მოგება — ჩეხოსლოვაკიასთან (53:37), იტალიასთან (60:42) და საბერძნეთთან (64:42).

ჩემპიონატის უკანასკნელ ეტაპზე — ფინალურ ოთხეულში, სადაც შეხვედრები ოლიმპიური ფორმულით იმართებოდა, სსრ კავშირის ნაკრებს შეხვედრები მოუხდა ჯერ ბულგარეთის გუნდთან, ხოლო მასზე გამარჯვების (72:54) შემდეგ — ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებთან, რომლებმაც მანამდე დაამარცხეს ფრანგები (59:50).

ამრიგად, ისევე, როგორც 4 წლის წინათ, ოქროს მედლების ბედი წყდებოდა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენთა მატჩში. და ისევე, როგორც 4 წლის წინათ, გადამწყვეტი მატჩი სსრ კავშირის მიერ იქნა მოგებული — 45:44.

პარიზული ფინალი უთუოდ დარჩება ჩემპიონატების ისტორიაში, როგორც ყველაზე უფრო დაძაბული და ბასრი. ჩვენმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ ი. ლისოვი, ა. კონევი, ს. ბუტაუტასი, ო. ქორქია და ი. ლაგუნავიჩუსი (მატჩის მსვლელობაში თამაშში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ა. მოისეევმა და ი. კულამმა), მხოლოდ ორთაბრძოლის მიწურულში შეძლო უპირატესობა მოეპოვებინა და იგი 7 ქულამდე გაეზარდა (44:37). მაგრამ შემდეგ ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა ძალთა დიდი მობილიზებით მოახერხეს ამ სხვაობის მინიმუმამდე შემცირება. ოქროს მედლები მეორედ მოხვდა მოსკოვში, ხოლო ვერცხლისა — პრაღაში. „ბრინჯაოს გუნდი" გახდა საფრანგეთის ნაკრები. შემდგომი ადგილები გაინაწილეს: ბულგარეთმა, იტალიამ, თურქეთმა, ბელგიამ, საბერძნეთმა, ფინეთმა, ჰოლანდიამ, ავსტრიამ, დასავლეთ გერმანიამ, შვეიცარიამ, დანიამ, პორტუგალიამ, შოტლანდიამ და ლიუქსემბურგმა.

ზ. აკოფოვი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო" № 95, 96.



სურათზე: საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ცხენოსანი მ. ბოლქვაძე.
ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

# „საბჭოთა ფეხბურთელები ფრიად მძიმე ჯგუფში მოხვდნენ"

### მ. ბუკოვის ინტერვიუ

იუგოსლაველი ჟურნალისტი ს. პარაბუცსკი ამას წინათ შეხვდა ცნობილ უნგრელ სპეციალისტს, წარსულში ლეგენდარული „დიდი გუნდის" მწვრთნელ მარტონ ბუკოვის და ესაუბრა მას თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებზე. ვაქვეყნებთ მ. ბუკოვის ინტერვიუს მცირე შემოკლებით.

● **რას იტყვით დღევანდელ ფეხბურთზე?**

— ჩემი აზრით, ფეხბურთის ხარისხი ყველგან დაეცა. შეხედეთ იტალიაში შექმნილ სიტუაციას — პირველი ლიგის ერთ-ერთი ტურის 9 თამაშში მხოლოდ 12 გოლი გაიტანეს! „რეალი" ვერ სძლევს „სარაგოსას" დაცვით „ბეტონს", „ბენფიკა" ვერ ამარცხებს მეორეხარისხოვან გუნდებს! ფეხბურთის ხარისხი იმიტომ დაეცა, რომ შემცირდა კარგი ფეხბურთელების რიცხვი. კრიზისი — აი, საერთაშორისო ფეხბურთის დამახასიათებელი ნიშანი.

● **რა აზრისა ხართ იუგოსლავიის ფეხბურთზე?**

— იუგოსლავიურ ფეხბურთს კარგად ვიცნობ, ბელგრადისა და ზაგრების გაზეთებსაც რეგულარულად ვადევნებ თვალს. როდესაც იუგოსლავიის ფეხბურთზე ვფიქრობ, უნებლიედ დ. შეკულარაცი წარმომიდგება ხოლმე. ვფიქრობ, იგი თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენელია. ხედავთ, როდესაც დღევანდელ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, ერთეულებს თუ დავასახელებთ.

● **განა ბრაზილიელებიც ადრინდელზე უფრო სუსტები არიან?**

— მათი იმედები ისევ პელეზე და გარინჩაზეა დამყარებული. ამ წყვილს ისევ წინა პლანზე ვხედავთ. მათ არა ჰყავთ სათანადო კონკურენტები.

● **რას იტყვით მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებზე?**

— ავსტრიელებს ძალა არ შესწევთ გადაუღობონ გზა უნგრეთს ფინალური თამაშებისკენ. ვფიქრობ, ლონდონის საგზურებს იუგოსლავიელებიც მოიპოვებენ, ვინაიდან ფრანგებმა დაკარგეს ადრინდელი პოზიციები. საბჭოთა ფეხბურთელები ფრიად მძიმე ჯგუფში მოხვდნენ. ბერძნები სახიფათო მეტოქეები არიან (ამჟამად ბუკოვი ერთ-ერთ ბერძნულ გუნდს წვრთნის). მე მაინც ვფიქრობ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები მოიპოვებენ ინგლისში თამაშის უფლებას.

● **როგორია ფავორიტების შანსები ინგლისში?**

— ინგლისში 5-6 გუნდს უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა. პირველ რიგში — ბრაზილიელებს, ინგლისელებს, უნგრელებს, იტალიელებსა და ესპანელებს. რაც შეეხება მათს შორის უკეთესს, ვფიქრობ, უმჯობესია პროგნოზისგან თავი შევიკავოთ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**ფრენბურთი.** კიროვის სახ. პარკი (ლენინის ქ. № 37). **საერთაშორისო შეხვედრა საქართველო — კუბა. 20 მაისი. სპი — კუბის ნაკრები** (ქალები), **სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი — კუბის ნაკრები** (ვაჟები). **21 მაისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი — კუბის ნაკრები** (ქალები), **ფიზკულტურის ინსტიტუტი — კუბის ნაკრები** (ვაჟები). **23 მაისი. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი — კუბის ნაკრები** (ქალები), **სპი — კუბის ნაკრები** (ვაჟები). მატჩების დასაწყისი 19 ს. და 20 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **საქართველოს პირველობა ვაჟთა შორის. 20 მაისი. გადადებული პარტიების დამთავრება. 21 მაისი. ჩემპიონატის უკანასკნელი XVII ტური.** დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**კლასიკური ჭიდაობა.** ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **21-23 მაისი. საქართველოს უძლიერეს მოჭიდავეთა პირადი პირველობა.** დასაწყისი 12 ს. და 18 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00652